

# ოქტომბრელი

N 11 12



# ოქტომ ბრელი

ყოველთვიური საბავშვო ჟურნ. № 11—12.

საქართველოს ბ. კ. ა. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახ. კომისარ. სოც. აღზრ. მთავარ-მართველობის ჟურნალი მოწაფეებთან მუშაობისათვის

ნოემბერი-დეკემბერი 1932

ალმასხანოვის ქუჩა, № 7.


## მიიღება ხელმოწერა 1932 წლისათვის სახელგამის შემდეგ ჟურნალებზე

| | | | |
|---|---|---|---|
| „პიონერი“ | საბავშვო ორკვირეული | 1 წლით 4 მან., 6 თვ. 2-20 კ. |
| „ოქტომბრელი“ | ყოველთვიური | 1 წლით 3 მან., 6 თვ. 1-70 კ. |
| „კარმირ წილერი“ | „ (სომხურად) | 1 წლით 3 მან., 6 თვ. 1-70 კ. |
| „ენი ქუშე“ | „ (თურქულად) | 1 წლით 3 მან., 6 თვ. 1-70 კ. |

რადგან თითოეული ჟურნალისათვის წინასწარ დაწესებულია განსაზღვრული ტირაჟი, ამიტომ საჭიროა მსურველებმა დააჩქარონ ხელმოწერა.

**ხელმოწერა მიიღება:**

1. ტფილისში—პერიოდსექტორში,—ჯორჯაძის ქ., № 1.
2. სახელგამის ყველა მაღაზიაში—ტფილისსა და პროვინციაში.
3. პერიოდსექტორის რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.

## შინაარსი


1. დაგვალეგბას ახრულებენ,—ლექსი ე. აგლაძის . . . . . . . . . . 1
2. ბობ ხოიერი,—ე. ბ—ძის (რუსულიდან) . . . . . . . . . . 2
3. ბავშვები ზამთარს,—ლექსი შიო მღვიმელის . . . . . . . . . . 5
4. ქარბუქში,—ე. (გადმოკეთებული) . . . . . . . . . . 6
5. ქვანახშირი რიხთვის გვინდა,—ლექსი ალ. ბილანიშვილის . . . 8
6. თუჯი, რკინა, ფოლადი,—თ. დ. (რუსულიდან) . . . . . . . . . . 9
7. უდიდესი გამომგონებელი,—შ. თ-ლის . . . . . . . . . . 11
8. მეოთხე წლის დასაწყისთან . . . . . . . . . . 14
9. მოზარდი ენტუზიასტები,—ლექსი დავ. შამათავასი . . . . . . 16
10. რური (რუსულიდან) . . . . . . . . . . 17
11. დილა ფიზკულტურის მოედანზე,—ლექსი ნ. დაფნარელის . . 22
12. ხახარის ეულნი,—ნათ. ანთაძის (რუსულიდან) . . . . . . . . . . 23
13. რამდენი ხელი ტრიალებს,—ლექსი გ. შატბერაშვილის . . . 26
14. მღვდლის ჩივილი,—ლექსი ელ.-ის . . . . . . . . . . 27
15. როგორ დავბეჭდოთ სურათები . . . . . . . . . . 28
16. ჩვენი კოლექტივი,—ქ. საანიშვილი . . . . . . . . . . 30
17. გახართობი: გამოცანები, მხედრები . . . . . . . . . . 31
18. ვინ არის სკაუტი . . . . . . . . . . 32



სახელგამის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3.

შეკვეთა 1098. მთავლიტი 172. ტირაჟი 3450.

899.962.1(05)
L-94
ეროვნული ბიბლიოთეკა
562



# დავალებას ასრულებენ.

ჭეი, ნელი, ჩქარა, ქალო,
მომაწოდე ნაძვის ტოტი,
მის სოსო უნდა მოვრთოთ,
მოგვიწონებს ჩვენი გოგიც.
სკამი კარგად დამიჭირე,
გენაცვალე, ჩემო ნელი,
თორემ კისრით დავვარდები
და ვერაფრით ვერ მიშველი.
ეს ლოზუნგიც აქ გავაკრათ,
მოუხდება, არა გჯერა?
თუგინდ გოგის შეეკითხე,
არ მოსულა, ნეტავ, ჯერა?



საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არა, აი გოგიც…
უჰ, რა კარგი სურათები!!
აქ დააწყვე, გენაცვალე,
მშიერა და დაიღლები.
დაისვენე, ჩვენ კი ისევ
მუშაობას გავაგრძელებთ.
შენ მანდედან შეამოწმე,
როგორ მოვრთავთ ამ დიდ კედლებს.
სამუშაო ჯერ ბევრი გვაქვს,
მოვისმართ უნდა ლელიც.

გოგი, ლენინის სურათი
აქ დაჰკიდოს, უთხარ ნელის.
ჩქარა, ჩქარა, იფუსფუსეთ
ცაცა, კაკო, თინა, მერი,
ჩქარა, როგორმე მოვასწროთ
ამ საღამოს ყველაფერი,
რომ ხვალ დილით მასწავლებელს
მივეგებოთ მხიარულად
და ვუთხრათ, რომ დავალება
შევასრულეთ ყველამ სრულად.

ე. აგლაძე



გამოჩენილ მზარეულთან მივიდა პიონერი. გამოჩენილი მზარეული ამ დროს სადილს ხარშავდა. ქვაბიდან ორთქლი ამოდიოდა მზარეული მღეროდა:

ვწვავთ და ვხარშავთ,
ვბუღავთ, ვხარშავთ,
გამიფრთხილდით,
თორემ დაგწვავთ.

პიონერი საგონებელში ჩავარდა: არ იცოდა, როგორ მისალმებოდა. ბოლოს იფიქრა ასე უკეთესი იქნებაო და უთხრა:

— გაამოსთ ორთქლი.

— ასე აბანოს შემდეგ ეუბნებიან ადამიანს, — მიუგო მზარეულმა, — მე კი დღეს ჯერ არ მიბანავნია.

არც თუ მზარეულმა იცოდა, [illegible] მისალმებოდა პიონერს, როგორ მიესალმებიან ხოლმე მას ამიტომ ასე უთხრა:

— შეგერგოსთ!

— ასე სადილის შემდეგ ეუბნებიან ადამიანს, მე კი ჯერ არ მისადილნია, — მიუგო პიონერმა.

— აბა, თქვი, რით გაგიმასპინძლდე? — შეეკითხა მას გამოჩენილი მზარეული.

— თუ გამოჩენილი და სახელგანთქმული მზარეული ხარ, გამიკეთე ხორცის კატლეტები უხორცოდ და ერბოკვერცხი უკვერცხოდ, — უთხრა პიონერმა.

— რა დროს ხუმრობაა, ბიჭო, — გაჯავრდა მზარეული. მე ოცდაათი წელიწადია სამზარეულოში ვმუშაობ, 835 სხვადასხვანაირი სადილის გაკეთება ვიცი, გაგიკვირდება კიდეც. მე ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროჟნის პროფესორი, საწებელის ოსტატი, კატლეტების ხელოვანი, ნაყინის მსახიობი; მაკარონის გაკეთებაში ხომ ნამდვილი ღენერალი ვარ. ბაყაყის ფეხებიდან საუცხოო საწებელს ვამზადებ მე რესპუბლიკის დამსახურებული მზარეული ვარ. ხომ გაიგე, ხომ მიხვდი, ვინცა ვარ, მაგრამ ჩემ სიცოცხლეში არც უხორცო კატლეტი მინახავს და არც უკვერცხო ერბოკვერცხი. მაგისთანა კატლეტები ქვეყნიერებაზე არც არსებობს, მაგისთანა ერბოკვერცხი ხომ წარმოუდგენელია!

მართალია, მე არ შემიძლია ბაყაყის ფეხებიდან საწებელის დამზადება,—მიუგო პიონერმა, მაგრამ სამაგიეროდ უკვერცხო ერბოკვერცხს და უხორცო კატლეტს კი კარგად ვამზადებ. თუ არ გჯერათ, მოდით ჩემთან ფაბრიკა-სამზარეულოში ვახშმად.

— ძალიან კარგი,—წაიბურდღუნა მზარეულმა, — მოვალ, მაგრამ ერთი ეს მითხარი —ვინა ხარ?

— მე ვარ პიონერი ბორის სტორინი, მეტ სახელად ბობ სოიერი.

— ამერიკიდან ხომ არ ხარ? შეეკითხა მზარეული.—ამასწინად წავიკითხე წიგნი ერთი ამერიკელი ბიჭის შესახებ მას ტომ სოიერი ერქვა. შენი ნათესავი ხომ არ არის?

— არა, მე ამერიკიდან არა ვარ, მე ნოზარდ ნატურალისტების ჯგუფიდან ვარ. სახკვებიდან ვარ. მოდით ვახშმად.



გამოჩენილი მზარეული იმ დღესვე წავიდა ფაბრიკა-სამზარეულოში. გრძელ მაგიდაზე თეთრი სუფრები იყო გადაფარებული. წითელ ბაირაღებზე ეწერა:

„გემრიელად შეექეცით! გაამოსთ!“

თეფშები წკრიალებდა, დანაჩანგლი პრიალებდა, ბზინავდა. მასთან ერთად ბრწყინავდა ბობ სოიერის თვალები, მთელი მასი არსება. ეს ღირსშესანიშნავი ვახშამი იყო. ასი ექიმი, ასი აგრონომი, ასი ქიმიკოსი მოვიდა აქ იმის შესამოწმებლად, თუ როგორია ეს უხორცო კატლეტები. ასი მზარეული ქალი, ასი მზარეული მამაკაცი და ასი მათი თანაშემწე მივიდა გასაგებად: მართლა არსებობს უხორცო კატლეტები თუ არა?

ექვსასი ადამიანი შემოუჯდა მაგიდას.

ჯერ მოართვეს ნამდვილი ერბოკვერცხის ექვსასი პორცია. როდესაც თეფშები დაცალიერდა, მთავარმა მასპინძელმა ჰკითხა:

— მოქალაქენო, რა სჭამეთ ახლა?



— გემრიელი ერბოკვერცხი, — იყო საერთო პასუხი ასი აგრონომის, ასი ექიმის და ასი ქიმიკოსის.

— ჩვენ გემრიელი ერბოკვერცხი ვჭამეთ, — გაიმეორა ასმა მზარეულმა ქალმა, ასმა მზარეულმა მამაკაცმა და ასმა მათმა თანაშემწემ.

შემდეგ ვახშმის მირთმევა დაიწყეს.

— თქვენ რას მიირთმევთ? — შეეკითხენ მზარეულს. — წვენს თუ შჩის?

— ერთსაც და მეორესაც.

მას მიართვეს ერთიც და მეორეც.

— შესანიშნავი წვენია, საუცხოვო შჩია! — წამოიძახა გამოჩენილმა მზარეულმა და თვალის დახამხამებაზე თეფშები დააცალიერა.

— რას მიირთმევთ: კატლეტს თუ ტოლმას? — შეეკითხენ მას.

— ერთსაცა და მეორესაც, — იყო პასუხი.

მას მოართვეს ერთიც და მეორეც.

საუკეთესო კატლეტია, განსაკუთრებული ტოლმაა! — შეჰყვირა გამოჩენილმა მზარეულმა და ერთ წუთში დააცალიერა

— რას მიირთმევთ — ტკბილ პუდინგს თუ პიროგს? — შეეკითხენ კვლავ მას.

— ერთსაცა და მეორესაც, — მიუგო მან.

მოართვეს ერთიც და მეორეც.

— გასაგიჟებელი პიროგია, საუკეთესო პუდინგია! შეჰყვირა გამოჩენილმა მზარეულმა და ცალიერი თეფშები გადადგა.

— ახლა რა გნებავთ — კრემი თუ ბისკვიტი? — ჰკითხეს მას.

— ერთიც და მეორეც.

მიართვეს.

— შესანიშნავი კრემია, საუცხოო ბისკვიტია! — შეჰყვირა გამოჩენილმა მზარეულმა და ცალიერ თეფშებს გადახედა.

— რას მიირთმევთ: ყავას თუ არარაფერს? — შეეკითხენ კვლავ მას.

— ყავას და მეტს არაფერს, — მიუგო გამოჩენილმა მზარეულმა და ტუჩები მოიწმინდა.

მასთან ბობ სოიერი მივიდა.

— იცით თუ არა, რა სჭამეთ ვახშმად? — შეეკითხა იგი.

— რა კითხვაა, — თქვა მზარეულმა. — მე ვჭამე გემრიელი ერბოკვერცხი, შესანიშნავი წვენი, საუკეთესო შჩი, უმშვენიერესი კატლეტები, გასაოცარი ტოლმა, მშვენიერი პუდინგი, უგემრიელესი კრემი, საუცხოვო ბისკვიტი, განსაცვიფრებელი ყავა და მეტი არაფერი.

— ეგ სულ ტყუილია, — უთხრა ბობ სოიერმა. — ძალიან სცდებით: თქვენ სულ ერთსა და იმავე საჭმელს სჭამდით.

— ერთსა და იმავეს?

— დიახ, მხოლოდ სხვადასხვანაირად მომზადებულს. თქვენ სოიის მარცვლები ჭამეთ.

— მოიცათ, — უთხრა მზარეულმა, — ხორცის კატლეტები რაღა იყო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეს ხორცის კატლეტები სოიისაგან იყო გაკეთებული.

— ერბოკვერცხი?

— ისიც სოიისაგან იყო მომზადებული უკვერცხოდ. სოიისაგან ყოველნაირი საჭმელის გაკეთება შეიძლება: ნამცხვარის, შოკოლადის, კატლეტის, ყავის და ერბოკვერცხისაც.

— წიწილების გამოჩეკაც, ალბათ, სოიის მარცვლებიდან შეიძლება? — შეეკითხა გაკვირვებული მზარეული.

ბობს გაეცინა.

გამოჩენილი მზარეული მეორე დღეს ქარხნის სამზარეულოში მივიდა.

— ცუდი ყოფილა უკვერცხო ერბოკვერცხის ჭამა, — თქვა მან. გუშინდელს აქეთ მუცელი მტკივა.

— გასაოცარია, — მიუგო სამზარეულოს მასპინძელმა. ექვსასმა კაცმა ჭამა აქ ეგ ერბოკვერცხი, მაგრამ მუცელი არავის ასტკივნია შენ, იქნება, ბევრი ჭამე.

— რა სათქმელია, — იწყინა მზარეულმა, — მე სულ ცოტა ვჭამე.

— რა ჭამე?

— რა და უკვერცხო ერბოკვერცხი, წვენი, შემწვარი შეი, უხორცო კატლეტები, ტოლმა, პუდინგი, ბისკვიტი, შოკოლადი, პაშტეტი, კრემი, ყავა და მეტი არაფერი.

— მეტი რაღა გინდოდა, — გაეცინა მასპინძელს, აქ სოია არაფერ შუაშია. შენ ბევრი ჭამისაგან აგტკივნია მუცელი.

— ძალიან გემრიელი იყო და ვერ მოვითმინე, — გულახდილად უპასუხა მზარეულმა. — დღეის შემდეგ ამ ქარხანაში მინდა ვიმსახურო, ჩამწერე მინდა ვისწავლო უკვერცხო ერბოკვერცხის გაკეთება, იგი ბაყაყის ფეხებიდან დამზადებულ საწებელაზე გემრიელია.

ქ. ბ — ძე

# ბავშები ზამთარს

ნაადრევად შემოგვესწარ,
ნაადრევად მოგვეპარე,
მაღლა მთა და დაბლა ბარი
დათოვე და მთლად დაჭვარე:
ხეებს ჭირხლი შემოადე,
ლოლუები — სახურავებს,
ზედ ქარბუქი მოაყოლე,
და არ ვიცით რა გაავებს?!
შენ გგონია შეშა არ გვაქვს?
უკაცრავად, უკაცრავად!
ტყის პირებში ალაგია
[illegible]

მარაგზე რომ არ გვაცალე,
ახლავ შევკრავთ კოლექტივებს
და იმგვარად მოვაცურებთ,
როგორც მტკვარი ზიდავს ტივებს.
ამ საქმეში ისევ ისე
შენს თეთრ კალთებს მოვიხმარებთ,
სულ ერთბაშად კი არ დაგლევთ,
რომ არ დაგვრჩეს შეშა გარეთ.
ზედ შემოდგმულ მარხილ-ციგებს
მომარჯვებით ვაცურავებთ
და მაშინ კი ვერას გვიზამ,
[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ქარბუქში

ქშინავს მატარებელი, როგორც მძიმე ავადმყოფი. უჭირს გზის გაგრძელება და ბოლოს ჩერდება კიდეც.

— არასასიამოვნო ამბავია, — ამბობს მგზავრი ერთ-ერთ ვაგონში.

ფანჯრებს აწყდება ძლიერი ქარბუქი და შესაზარად ზუზუნებს, წივის...

გაჩერებულ მატარებელს ქარი დაუნდობლად აყრის თოვლს, თითქოს სურს დამარცხებულ მატარებელს თოვლის თეთრი სუდარა გადააფაროს.

ხუთი კილომეტრია გასავლელი უახლოეს სადგურამდე, მაგრამ მატარებელი დგას, რადგან წინ მთებივით აღმართულა ქარისაგან მოზიდული თოვლი.

ასეთი ძლიერი ქარბუქი რომ არ ყოფილიყო, ამ მანძილის გავლა ფეხითაც მოხერხდებოდა, მაგრამ ახლა ყოველგვარი საშუალება უძლური იყო. სადგურამდე მისვლას ვერავინ შესძლებდა.

ერთ-ერთ ვაგონში პიონერების ჯგუფი იჯდა. მათ შორის იყვნენ რუსეთიდან ჩამოსული პიონერები, რომლებიც საქართველოს დათვალიერების შემდეგ შინ მიემგზავრებოდენ.

რუს პიონერთა ჯგუფს აცილებდა ორი ქართველი პიონერი, მიტო და სოსო.

გავიდა ერთი საათი. მატარებელი ისევ იდგა. ზამთრის მოკლე დღე მალე შეიცვლებოდა ბნელი და გრძელი ღამით. მიტო და სოსო ვერ ისვენებდენ, ცდილობდენ რაიმე გამოსავალი გამოეძებნათ. მათ კონდუქტორს მიმართეს:

— როდემდე უნდა იდგეს მატარებელი?

— სანამ ქარბუქი არ გადაიღებს, — უპასუხა კონდუქტორმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნუთუ არ შეიძლება რაიმე ღონისძიება გამოინახოს, ქარბუქი შეიძლება მთელ დღეს გაგრძელდეს?! — უმტკიცებდნენ პიონერები.

— აბა, რა ღონისძიებას გამონახავთ! სადგურამდე ხუთი კილომეტრია. იქ წასვლა შეუძლებელია. სადგურამდე მისვლა რომ შეგვეძლოს, მაშინ წამოვიყვანდით იქიდან თოვლის გამწმენდ მუშებს, და მატარებელიც გზას განაგრძობდა.

მიტო და ნოსო დაბრუნდნენ ამხანაგებთან, იმსჯელეს და გადაწყვიტეს აეღოთ თხილამურები და დაუყოვნებლივ გასდგომოდნენ გზას სადგურისაკენ.

სრული ორი საათი იყო, როდესაც ბავშვები სამზადისს შეუდგნენ. იშოვნეს მგზავრებისაგან თოკი, გადაებნენ ერთმანეთს, რომ რომელიმე მათგანი გზაში არ ჩამორჩენილიყო ან არ დაკარგულიყო, გაიკეთეს ფეხებზე თხილამურები და გაუდგნენ გზას.

არასოდეს არ დაავიწყდებათ პიონერებს ეს საშინელი მგზავრობა. არ დაავიწყდებათ არც მაშინ, როდესაც მოხუცდებიან. რამდენჯერ ჩაცვივდნენ ღრმა თოვლში, რამდენჯერ წააქცია ბავშვები ძლიერმა ქარბუქმა! ულმობელი ქარი ჰაერშიც კი ისროდა პატარა ბავშვებს.

უკვე დაბნელებული იყო, როდესაც ნახევრად გაყინულმა პიონერებმა სადგურს მიაღწიეს.

დაქანცულმა, ძალაწართმეულმა პიონერებმა ძლივს უამბეს სადგურის უფროსს ქარბუქში გაჩერებული მატარებლის შესახებ.

სადგურის უფროსმა მოისმინა ყველაფერი, გაყინულ ბავშვებს ცხელი ჩაით გაუმასპინძლდა და შემდეგ შეუდგა მატარებლის გადასარჩენად ზომების მიღებას, შეადგინა თოვლის მწმენდელთა ჯგუფი, რომლებმაც აიღეს ბარები და სხვადასხვა იარაღი და საჩქაროდ გაემართნენ მატარებლისაკენ.

გავიდა რამდენიმე საათი. უცბად მოისმა რაღაც ხმაური, და გამოჩნდა მატარებელი, რომელიც ქშენით მოდიოდა.

გახარებული პიონერები გაბრწყინებული თვალებით შეეგებნენ მას.

პიონერების გმირობით გაკვირვებული მგზავრები სადგურზე გადმოვიდნენ და თავდადებულ პატარა გმირებს უღრმეს მადლობას უხდიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ქვანახშირი რისთვის გვინდა

ელოდება ლელი მამას,
ბოლო არ აქვს, თითქოს, ლოდინს.
უკვე დროა, დროა უკვე,
და მამილოც სახლში მოდის.

მიეგება სიხარულით,
დაეკიდა მამას ყელზე.
ცელქობს, ხტის და ჯერ ისვენებს,
სასაუბროდ მიზეზს ეძებს.

— მამა, მამა, მითხარ, მითხარ,
რათ მოდიხარ ასე
გამურული მალზე?

— რათ მოვდივარ?—
დამშვიდებით ამბობს მამა,
თან განაგრძობს პირის ბანას.
— მაღაროში რომ ვმუშაობთ,
ვიმურებით შავად.

— მამა, მითხარ, ბარემ, ესეც:
მაღაროში რა აკეთებთ?

— მაღაროში რას ვაკეთებთ?
ქვანახშირით მდიდარ მადნებს
ვთხრით და ვანგრევთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ქვანახშირი რისთვის გვინდა?
— რისთვის გვინდა ქვანახშირი?
რომ არ ჰქონდეს სამრეწველო
ქალაქს შიში.
თავის რიგზე თუ არ მივცემთ
სოფელს,
ქალაქს
საწვავ მარაგს,
მაშინ ვეღარ დავამზადებთ
ტრაქტორებს და სხვა მანქანას.
სამჭედლოში ჩაუქრება
მჭედელს ქურა
და იქნება
უსაქმურად.
მაშინ ვეღარ შევასრულებთ
ასე მედგრად,
როგორც ახლა,
მშენებლობის დიად გეგმას.

ალ. ბილანიშვილი



# თუჯი, რკინა ფოლადი

ბრძმედი ალღობს რკინის მადანს. გალღობილი თუჯი ღუმელიდან თეთრ რძესავით გამოდის და განსაკუთრებულ ფორმებში ცივდება.

თუჯი მაგარია და გამძლე. ძლიერი დარტყმისაგან იგი ადვილად ტყდება. მისი ჭედვა არ შეიძლება, სამაგიეროდ იგი ადვილად ლღვება და მისგან, ფორმებში გადასხმის საშუალებით, სხვადასხვა ნივთს აკეთებენ.

ქარხნის ლითონის განყოფილებაში თიხისაგან აკეთებდენ სხვადასხვა ფორმას და მათში ასხამენ გალღობილ თუჯს. ასეთი ჩამოსხმით მზადდება მანქანების სხვადასხვა ნაწილი, კბილებიანი თვლები, მანქანის საფუძველი, აგრეთვე ოჯახში სახმარი ნივთები: ტაფები, თუჯის ქვაბები და სხვა.

თუჯი ასეთი იმიტომაა, რომ მასში რკინასთან ერთად ბევრი სხვადასხვა ნარევია—ნახშირბადი, ნახშირის კრემნიუმი და სხვა. რკინის დამამზადებელ ქარხნებში თუჯს აშორებენ ნახშირბადს და კრემნიუმს, და ამაში მდგომარეობს თუჯის გადამუშავება რკინად და ფოლადად. განსაკუთრებულ თუჯის გადასამუშავებელ ღუმელებში ათავსებენ თუჯს და სათბობ მასალას: ქვანახშირს, ნავთს და სხვას.

შეხვალთ ქარხნის სახელოსნოში და უცბად გაგიძნელდებათ გარჩევა, თუ რა ხდება იქ.

სუსტად განათებულ ოთახში თვალის მომჭრელად ელვარებენ ღუმელები. მათ წინ თქვენ ოდნავ გაარჩევთ ნახევრად შიშველ მუშებს. ისინი



ახდიან ღუმელის დასაკეტს და რკინის კეტით ურევენ შიგ მოთავსებულ გავარვალებულ სითხეს. ძლიერი სინათლე მუშებს უბრმავებს თვალებს, სიცხე უტრუსავს წარბებს, უშრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანზე ოფლს, აიძულებს მათ ხშირ-ხშირად სვან ცივი წყალი, ტანჯ[illegible] დაიცლონ იგი.

საათნახევარი— ორი საათი გრძელდება მუშაობა ამ ღუმელთან, სანამ თუჯი არ გალღვება. საჭიროა მისი ხშირ-ხშირად მორევა და გალღობის პროცესისათვის გულდასმით თვალყურის დევნება. თუჯიდან ნელ-ნელა გამოიყოფა სხვადასხვა შენაერთი, რკინა სქელდება და მაგრდება პატარ-პატარა მარცვლებად. მუშები ნიჩბებით ჰყრიან მათ ღრუბელივით დაჩვრეტილ მასაში, რომელსაც რუსულად კრიცა ეწოდება. გავარვარებისაგან შეთეთრებულ კრიცას მუშები იღებენ ღუმელიდან და საჩქაროდ გადააქვთ ორთქლით მომუშავე დიდ ჩაქუჩთან.

ნელ-ნელა აიწევს ორთქლის ჩაქუჩი, საშინელის ძალით დაუწყებს ცემას ცეცხლოვან კრიცას და სჭყლეტს მას.

ჩაქუჩიდან ათასობით ცვივა ცეცხლის ნაპერწკლები და ხვდება იქვე მდგარ მუშებს.

ორთქლის ჩაქუჩი სცემს კრიცას, და ღრუბლის მაგვარი მასა თანდათან იქცევა მაგარ რკინის ნაჭრად.

ჯერ კიდევ გავარვარებული რკინა უცბად გადააქვთ ფოლადის ლილვებთან და მათში ატარებენ. ლილვები სჭყლეტს რკინას, და რკინა საშინელის წნევით გამოცურდება ამ ლილვებიდან დაკლაკნილ ცეცხლოვან გველებად.

ასე ამუშავებენ რკინის ზოლებს.

თუ ამ გავარვარებულ რკინას გაატარებენ მეორეგვარ ლილვებში, მაშინ მიიღებენ რკინის ფურცლებს (ფურცლოვან რკინას). განსაკუთრებულ დაზგებზე რკინას მავთულად აქცევენ.

რკინა იჭედება და იწელება. თუ ძალიან გავავარვარებთ მას, მისგან

შეიძლება გამოიჭედოს სხვადასხვა საგანი. რკინის ცალკე ნაჭრები შეიძლება შედუღდეს. მათ ისე გაავარვარებენ, რომ გაათეთრებენ, შემდეგ შეაერთებენ, ზედ გადააყრიან ძალზე წვრილ ქვიშას და დაუწყებენ ჩაქუჩით ცემას. ამგვარად ორივე ნაჭერი შეერთდება.

თუჯიდან ამზადებენ ფოლადსაც.

იმისთვის, რომ მიიღონ რკინა, თუჯს აშორებენ თითქმის მთელ ნახშირბადს. ფოლადის მისაღებად კი თუჯს ნახშირბადის ნაწილს აშორებენ. ამიტომაც ფოლადს აქვს როგორც რკინის, ისე თუჯის თვისებები. ფოლადი, ისე, როგორც თუჯი, ლღვება და შემდეგ ისხმება ფორმებში. მისი ჭედვაც შეიძლება, როგორც რკინის. შეიძლება მისი ლილვში გატარება, მისგან მავთულის დამზადება და შედუღებაც. თუ ფოლადს ძალიან გავაცხელებთ და უცბად ჩავუშვებთ ცივ წყალში, იგი ძალიან მაგარი და დრეკადი ხდება.

ამის გამო, გაცხელებული ფოლადიდან ზამბარებს აკეთებენ. საუკეთესო ღირსების ფოლადი მზადდება განსაკუთრებულ ღუმელებში, რომელიც გამოგონილია ინჟინერის ბ ე ს ე მ ე რ ი ს, ტომასის და მაერტის მიერ. ამათი გვარებიდან შემოვიდა სახელწოდება სხვადასხვა ხარისხის ფოლადისა—ბესემერის, ტომასის, მარტენის ფოლადის.

მაღაროში მუშაობა ნახშირისა და რკინის მადნის მოსაპოვებლად და ბრძმედთან მუშაობა რკინის დამმზადებელ ქარხნებში დიდ შრომას და ძალის დიდ დაჭიმვას მოითხოვს, იგი მუშებს უბედურებასა და დასახიჩრებას უქადის. მუშები, ამ შრომის შემსრულებელნი, სამართლიანად იმსახურებენ შრომის გმირების სახელს.

**თ. დ.**

# ედისონი გამომგონებელი

— წკრრ,—გაისმა ტელეფონის წკრიალი.

კოლა წამოდგა და ტელეფონთან მივიდა.

— ალლო!—დაიძახა მან.—ვინ ლაპარაკობს? ნიკო ხარ? გამარჯობა, გამარჯობა. რაო? ედისონი გარდაიცვალა? გაზეთში სწერია? არა, ჯერ არ წამიკითხავს...

როდესაც დაასრულა კოლამ ტელეფონით ლაპარაკი, მას შეეკითხა ციალა:

— მამიკო, ძია ედიშერი მოკვდა?

კოლას გაეცინა.

— არა, ედიშერი კი არა, ედისონი.

— ვინ იყო ედისონი?—ახლა რეზო შეეკითხა მამას.

— კარგი, რადგან გაინტერესებსთ, გიამბობთ.

და მამამ დაიწყო.

— ედისონი ამერიკელი იყო. ის 1847 წელს დაიბადა. პატარა ალვა (ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვი მისი სახელი) ძალიან დაკვირვებული და ნიჭიერი ბავში იყო. ერთხელ დედამ ის დიდხანს ძებნა და ბოლოს ფარდულში ნახა ერთ კუთხეში დამჯდარი.

— რა გინდა, ბიჭო, აქ?—ჰკითხა დედამ.

— ახლოს არ მოხვიდე, დედიკო, წიწილები უნდა გამოვჩეკო. ჩვენმა ბატმა თუ გამოჩეკა, მე არ შემიძლია თუ?—უპასუხა მას კვერცხებზე მჯდომმა პატარა ალვამ.

— ედისონს ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა. 11 წლის რომ გახდა, გაზეთის დამტარებელი იყო, 15 წლის ალვას კი უკვე საკუთარი გაზეთი ჰქონდა. ერთ დღეს, როდესაც ის 16 წლის არც კი იყო, დაინახა, რომ რკინის გზის ლიანდაგზე პატარა ბავში თამაშობდა, სადგურის უფროსის შვილი. ამ დროს გამოჩნდა მატარებელი... ედისონს ბევრი არ უფიქრია, გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეცა ბავშს და გადმოხტა ლიანდაგიდან. სწორედ ამ დროს ჩაიქროლა მატარებელმა. სადგურის უფროსმა შვილის გადამრჩენი ალვა ტელეგრაფისტად მოაწყო.

დაიწყო ედისონმა სამსახური, მაგრამ ერთსა და იმავე სამსახურში დიდხანს ვერ ჩერდებოდა. ის სულ რაღაცას აკეთებდა, რაღაცას იგონებდა. ერთი კანტორის უფროსი ტელეგრაფისტებისგან მოითხოვდა: ყოველ ნახევარ საათში უნდა გამომიგზავნოთ ხოლმე დეპეშა, მხოლოდ ერთი სიტყვა „ექვსი“ და ამით მეცოდინება, რომ თქვენ ფხიზლად მუშაობთ და არ გძინავთო. ედისონმა ტელეგრაფის აპარატს ისე შეუერთა საათის მექანიზმი, რომ ყოველ ნახევარ საათში

აპარატი თვითონ ჰგზავნიდა დეპეშას „ექვსი“. ეს რომ გაუგეს, ის დაითხოვეს სამსახურიდან...

ამ დროს მეზობელი ბინიდან გრამოფონის ხმა მოისმა.

— გესმისთ, ბავშებო? ეს რა ხმაა?

— რა ხმაა და დეიდა მაშოს გრამოფონია,—თქვა ციალამ.

— ჰოდა გრამოფონიც ედისონმა გამოიგონა. მან ძალიან დიდხანს იმუშავა, მთელი 12 წელიწადი, და ბოლოს კიდეც გააკეთა გრამოფონი. ერთ დღეს, 1878 წელს, ედისონმა გაზეთის რედაქციაში მიიტანა რაღაც მანქანა და მაგიდაზე დადგა.

—გამარჯობა! როგორ ბრძანდებით?—თქვა მანქანამ, თითქო შიგ კაცია დამალულიაო, და შეშინებული რედაქტორი კინაღამ წაიქცა...

— თქვენ ხომ იცით, რა არის „ზაჰესი“? ეს ელსადგური ანათებს ტფილისს, მისი ელექტრობა ამოძრავებს ფაბრიკა-ქარხნების მანქანებს. იცით, ვინ გააკეთა პირველი ელსადგური, ვინ გააკეთა ელნათურა?

— ედისონმა?—ჰკითხა რეზომ.

— ჰო, ედისონმა. ეს მოხდა 1879 წელს. მან გაანათა თავისი სახლი, ხეებზე ელექტროლამფები დაჰკიდა, და გაოცებული ამერიკელები მიაწყდენ მის სახლს ამ უცნაური სინათლის სანახავად.

— ყოჩაღ!—წამოიყვირა რეზომ.

— მაგრამ, იცით, ბავშებო, რამდენი შრომა დასჭირდა მას ამისთვის? თითო ასეთ გამოგონებას დაახლოვებით 40—50 ათასი ცდა სჭირდებოდა! მას კი ძალიან ბევრი რამ აქვს გამოგონებული. მარტო ამერიკაში ედისონმა 1500 გამოგონება გაჰყიდა.

— რამდენი?

— ათას ხუთასი.

— უჰ!—დაიძახა ციალამ.

— აბა როგორ გგონია,—უთხრა მამამ.—მან გამოიგონა აგრეთვე კინემატოგრაფი (1896 წელს), ტელეფონი და ბევრი, ბევრი სხვა რამ. ტელეფონით რომ ვლაპარაკობთ, ვამბობთ ხოლმე „ალლო!“—ეს ამერიკულად ნიშნავს „ეი“, და ედისონმა შემოიღო. მის ბიბლიოთეკაში სამოცი ათასი წიგნი და ჟურნალია.

აი, ასეთი იყო ალვა ედისონი, მთელს მსოფლიოში განთქმული გამომგონებელი, რომელიც 84 წლის გარდაიცვალა.

ასე დაასრულა საუბარი მამამ, რომელსაც გაოცებული შესცქეროდენ რეზო და ციალა.

**შ. თ-ლი.**


**არ დარჩეთ უჟურნალოდ:**

**„ოქტომბრელი“ მხოლოდ ხელმომწერთათვის იბეჭდება.**

ბიბლიოთეკა

# მეოთხე წლის დასაწყისთან

მალე დასრულდება პირველი ხუთწლედის მესამე წელი. ამ წელს ამხანაგმა სტალინმა „დიდი გარდატეხის წელი“ უწოდა, რადგან მან მოახდინა ჩვენი ქვეყნის ძირითადი გარდაქმნა. ქალაქად სოციალიზმმა გაიმარჯვა, სოფლად კი მისი გამარჯვების საქმე დღითი-დღე წინ მიიწევს.

საბჭოთა კავშირის იმ ადგილებში, სადაც უმთავრესად პურეულს თესვენ, ეგრეთწოდებულ „მარცვლეულის რაიონებში“ (უკრაინა, ჩრდილო კავკასია და სხვ.) კოლექტივიზაცია უკვე დამთავრდა. საერთოდ კი მთელს საბჭოთა კავშირში გლეხური მეურნეობის სამოცი პროცენტია გაერთიანებული კოლექტივებში.



ამ რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი საბჭოთა კავშირის ყურადღება მიქცეული იყო სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაზე. მან სასახელოდ შეასრულა გეგმა. ჩვენ სოფლებში ათასობით შეიჭრა ტრაქტორი, [ბოლო მოეღო მიწის ძველი საშუალებებით დამუშავებას. დამთავრდა ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაც, მოსკოვის „ამო“ და სხვა მრავალი. ქარხანა-ფაბრიკების მშენებლობამ განამტკიცა ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის საქმე.

დამკვრელი ბრიგადები თავგამოდებით იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ჩვენი მშენებლობის ზო-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიერთმა დარგმა უკვე შეასრულა ხუთწლედი ორნახევარ წელიწადში. კიდევ მრავალი ქარხანა და წარმოება გვაცნობებს ამ წელს ხუთწლიანი გეგმის შესრულებას.

მთელი ქვეყნის ბურჟუები, სოციალიზმის დაუძინებელი მტრები, ზიზღით გაიძახოდნენ, რომ ხუთწლიანი გეგმა უსაფუძვლოა, რომ მისი შესრულება შეუძლებელი საქმეა.

მაგრამ ამ სამმა წელმა აშკარად დაანახვა მათვე, რომ ხუთწლიანი გეგმა არა თუ უსაფუძვლოა, არამედ მისი შესრულება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს დამკვრელ ქარხნებს, ბრიგადებს ზოგიერთ დარგში ორნახევარ და სამ წელში შესძლებიათ. გადავუდივართ ამ გეგმის მეოთხე წელში. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა თავდადებული მუშაობა იმის მთქმელია, რომ ეს მეოთხე წელი იქნება ხუთწლედის უკანასკნელი წელი. ჩვენ შევასრულებთ ხუთწლედს ოთხ წელში ჩვენი გმირული კომუნისტური პარტიის და ჩვენი ბელადის — ამხ. სტალინის — ხელმძღვანელობით. მესამე „გადამწყვეტმა წელმა“ გადაწყვიტა ხუთწლედის გამარჯვების საკითხი, მან გადაწყვიტა ქალაქად და სოფლად სოციალიზმის გამარჯვების საქმე. იწყება მეოთხე წელი. ჩვენ, პატარა ოქტომბრელებმაც უნდა ვისწავლოთ მეტის გულმოდგინებით, შევიყვაროთ შრომა, რომ მალე შევძლოთ მშრომელთა გვერდით დადგომა სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე.



# მოზარდი ენთუზიასტები



უკვე ინათა... რიჟრაჟი
მოედო მაღლობს მთებიანს.
გამოდით, გოგო-ბიჭებო!
დიდები უკვე დგებიან.
მახილზე აგანგაშებით
ენთუზიაზმმა იმატა,
ენთუზიასტი ბავშვების
წინ გაემართა ბრიგადა.
ირგვლივ მინდვრები, მთებია,
შორს—დასვენილი თივებიც...
დღითი-დღე კვლავ იზრდებიან
სოფლებში კოლექტივები.
შაბათობა აქვთ, მიდიან...
წინ ოროობე და მტვერია,
გაჰყვნენ მდინარეს ხიდიანს,
მივლენ და მიიმღერიან.
ფერდს შეესიენ, მარდობენ,
დათხარეს ხეთა ძირები...
სწმენდენ ჩაისთვის ფართობებს
პატარა ბრიგადირები.
ისმის კიჟინა გორით-გორს,
ზღვა სიხარული რგებიათ!
დილისას და · ო გოგილოს
შრომაში შეჯიბრებია...
გულმა შეჯიბრი იგემა,
თავგამოდებით იბრძვიან,
შრომის პატარა გმირებმა
ჰე, დაღლა როდი იციან!
...იშრომეს მზის დაწურამდე.
ჯერ მთვარე არ ჩანს, ბინდია,
ჩვენი პატარა გმირები
ეხლა შინისკენ მიდიან.

დავ. შამათავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რური

## წერილი გერმანიიდან

ყოველ დღეს ახალი მწუხარება მოაქვს ჩვენთვის. ჩვენ ფაშისტური მთავრობა გვყავს. ფაშისტები ებრძვიან მუშებსა და კომუნისტებს.

ჩვენში, რურის ოლქში, დიდი წამოწყებებია კრუპის, კირდორფის, შატუმის და განიელის.

მაგალითად, კრუპს აქვს რკინის 27 მაღარო და ქვანახშირის კი ექვსი, მას აქვს 17 ბრძმედი, ფოლადის ჩამოსასხმელი და რკინის ბევრი დიდი ქარხანა, გემთსაშენი მანქანათმკეთებელი და ორთქლმავლის საკეთებელი ქარხნები. კირდორფის, შატუმის და განიელის ქონებაც ნაკლები არ არის.

კაპიტალისტები სწოვენ მუშების სისხლს.

ამ ბოლო ხანებში მუშებმა გაიგეს, რომ მწარმოებლები აპირებენ სამუშაო ხელფასის 15 პროცენტით შემცირებას. ამნაირი გაყვლეფის წინააღმდეგ გამოვიდა კომპარტია და გადაწყვიტა გაფიცვა მოეწყოს. გუშინ პიონერების კრებაზე ჩვენ ამ გაფიცვის შესახებ გვქონდა ლაპარაკი.

როდესაც გვცემენ სკოლაში, როდესაც კედლის გაზეთის გამოშვებას გვიკრძალავენ, გვიშლიან რევოლუციონურ სიმღერებს და კარცერში გვაგდებენ, ჩვენ გაფიცვას ვაცხადებთ. სკოლების გაფიცვები ხშირად გამარჯვებით თავდება: ხელჯოხა მასწავლებლებს ხსნიან.

მაგრამ აქამდე გერმანიის პიონერებს ორგანიზაციული დახმარება არ გაუწევიათ მუშებისათვის.

ხელფასის შემცირება კიდევ უფრო ამწვავებს მდგომარეობას და ეს განსაკუთრებით გასაჭირში აგდებს ცოლშვილიან მუშებს. ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ მუშები გაიფიცებიან, და ჩვენც გაფიცულებთან უნდა ვიყოთ.

უკვე გვიან იყო. დაბნელდა. სანამ წავიდ-წამოვიდოდით, ვიმღერეთ „იუნგ სპარტაკუს ბუნდ“

უცებ ქმილმა მოირბინა.

გაფიცულმა ორკი წარმოების მემაღაროებმა მიატოვეს მუშაობა. მაღაროების ქიმკრებთან გაფიცულების საყარაულოა გამართული.

სიმღერა შევწყვიტეთ.

ჩვენ მობილიზებული ვართ. მთელი ჩვენი ძალ-ღონე პარტიასა და კომკავშირს უნდა მოვაწდომოთ, — გვითხრა ხელმძღვანელმა. — ყოველ სკოლაში წითელი ფორპოსტი უნდა მოვაწყოთ.

— თქვენს სკოლებში ყველამ მიტინგი ჩაატარეთ, აუხსენით ბავშებს, რას ნიშნავს მშობლებისათვის 15 პროცენტით ხელფასის შემცირება. — გვითხრა მან, აუხსენით ბავშებს, რომ მამა — ერთი მარკის¹ მაგიერ 85 პფენიგს²

¹) მარკა — 46½ კაპ.
²) პფენიგი ½ კაპ.

საქართველოს ... თბილისი

მოიტანს. ე. ი. 8 საათის მუშაობაში 120 პფენიგი დააკლდება.

პურის პატარა ნატეხი დილით; სკოლაში უსაუზმოდ, აი რას ნიშნავს 15 პროცენტით ხელფასის შემცირება,— დაათავა ხელმძღვანელმა.

დავიშალეთ.

დღეს გაკვეთილების შემდეგ ისევ შევიკრიბეთ რაზმში. ჩვენ შემოგვიერთდენ სპორტკავშირში მომუშავე ბავშვები. მოვიდა მუშათა საერთაშორისო დახმარების უჯრედი. 80 კაცი ვიყავით. ჯგუფებად დავნაწილდით



(ათ-ათი კაცი) გაფიცულების დასახმარებლად.

პირველი ჯგუფი გაფიცულთა საყარაულოზე დასადგომად გაემართა. ისინი არ გაუშვებენ შტრეიკბრეხერებს[1] წარმოებაში სამუშაოდ.

ათი კაცი გავგზავნეთ მორბედებად არასოდეს არ დამავიწყდება, იმ დღეებში მეც მორბედად ვიყავი და ბევრი რამ ვნახე.

[1]) შტრეიკბრეხერი—მუშა, რომელიც გაფიცვას თავს ანებებს და სამუშაოზე მიდის.

ათ გოგონას მივანდეთ ფულისა და სანოვაგის შეგროვება დაგაფიცულთა ბავშვების კვებისსაქმის მოწყობა.

ბევრი საქმე აღმოჩნდა დანარჩენებისათვის. საჭირო იყო გაფიცულთა კრებებზე სიტყვების თქმა. გაფიცულთა მოთხოვნებს უნდა დამატებოდა ბავშვების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების პუნქტებიც.

საჭირო იყო აგვეხსნა მოზარდი თაობისათვის, რომ ბავშვები განზე არ უნდა იდგნენ, როდესაც იმათი მამები, ძმები და დები იფიცებიან.

იმ დროს, როდესაც გაფიცულთა პუნქტში ბაიათი მივარბენინე,— ათი კაცში მოვიდა

— რად მოხვედით?—დაუყვირეს მუშებმა.

— გასწით შინ! აქ თქვენი საქმე არ არის.

— ჩვენ არ შეგვიძლია ჩუმად ვიყოთ, ჩვენ არ შეგვიძლია განზე დგომა,— მიუგეს ანამ და კურტმა.

— როდესაც მამა უფრო ნაკლებ ფულს მოიტანს საჭიროება კიდევ უფრო ძლიერად შეგვიპყრობს ხელს.

მე გადავეცი ბარათი. ვხედავ—ყმაწვილები ქიშკართან გამწკრივდენ, ბარათი მომცეს და კომიტეტში გავიქეცი.

კომიტეტში გაფიცულების ჯარი იყო.

როგორც კი, შევიტანე კომიტეტში, გადავეცი ბარათი,



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდასთან ჩვენი პიონერები იდგენ.

— რათ მოხვედით? თქვენი თავი გვაქვს ახლა? -უთხრეს ბავშებს კომიტეტში.

აი ჩვენი მოთხოვნები. ჩაურთეთ გაფიცულთა მოთხოვნებში, —უთხრა ერიშმა.

ერიში ოგოლის ხელმძღვანელია. მამამისი ინვალიდია. ბავშებმა მაგიდაზე ქაღალდი დადვეს

მე წავიკითხე:

— ჩვენც მოვითხოვთ: მეტ ხელფასს და სამუშაოს ჩვენი მშობლებისათვის.

— საკმაოდ მიეცეს გაფიცულთა ბავშებს თბილი საჭმელი ქალაქის გამგეობის ხარჯზე.

— მიეცეს ბავშებს თბილი ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა.

— გაიგზავნონ გაფიცულთა და უმუშევართა ბავშები საბავშო სახლებში.

— დაწესდეს: უფასო კვება გაფიცულთა და უმუშევართა ბავშებისათვის სკოლაში.

— უფასო დახმარება სწავლისა და ექსკურსიებისათვის.

— სპორტდარბაზით უფასო სარგებლობა მუშათა ბავშებისათვის.

ჩვენ წინააღმდეგნი ვართ:

— რეაქციონური მასწავლებლების და ფიზიკური დასჯის.

— სკოლაში პატრიოტული და რელიგიური აღზრდის.

ჩვენ მოვითხოვთ:

— საბჭოთა გერმანიას. გაუმარჯოს სამი თაობის საერთო მუშაობას.

— ეს კარგია,—სთქვეს კომიტეტში.

— ჩვენ დასახმარებლად მოხვედით? აი ფურცლები. გააკარით დასავლეთის და სამხრეთის რაიონის მაღაროებთან. ისინი ჯერ არ შემოგვიერთდებიან.

ყმაწვილებმა ჩამოართვეს ფურცლები.

მე წავიღე ბარათი და გავიქეცი სხვა პუნქტში. საღამოს შევიკრიბეთ ბულვარში. ქალაქის პიონერების ყრილობა იყო. ხეივანში ვიწროობაა: 700 კაცამდე შეიკრიბა.



— ვისი მშობლებია გაფიცული? – იკითხა ხელმძღვანელმა.

აიწია ხელების ტყე. დავთვალეთ — 240 ხელი იყო აწეული. ყრილობაზე მოვისმინეთ იმის ანგარიში, თუ რის გაკეთება მოვასწარით ორი დღის განმავლობაში.

მოვახერხეთ და გავიმარჯვეთ.

ქალაქში 10 000 ფურცელი გააკრეს.

სამხრეთ რაიონში 20 ბავში გამოვ-და ქუჩაში და გაიარა მუშათა უბნის მოსახვევები.

ქიმკიებთან მართავდენ სახელდ ხელო მიტინგ;ბს, იწვევდენ — შეერთებოდენ გაფიცულებს

ჩვენი ყმაწვილები 18 ადგილას დგანან ყარაულებად მაღაროებთან. გუშინ მხოლოდ 80 კაცი ვიყავით, დღეს კი დანარჩენი რაზმებიც შემოგვიერთდენ.

ახლა 700 კაცი ვართ.

მძიმე დღეები დაგვიდგა.



სოციალ-დემოკრატებმა მოინდ~მეს მესამე დღეს შეეწყვიტათ გაფიცვა. დაიწყო ისეთი საშინელი ტერორი, როგორიც არასოდეს არ ყოფ-ლა გერმანიაში

პოლიცია ერეკებოდა გაფიცულებს, თოფის სროლით სდევნიდა მათ, დღეს 8 დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოში.

გაფიცულთა ბ-ნებზე მ-იჭრენ შუცმანები და რევოლვერით ერე;ებოდენ მაღაროებში მუშებს.

მემაღაროები მაგრად იდგენ.

შტრეიკბრეხერებს უწინდებურად არ უშვებდენ მაღაროებში, ატუსაღებდ;ნ ყველგან

დატუსაღებულია 20 გაფიცული მემაღარო;ე.

შეიკრიბა მიტინგი.

უცებ მათ თავს დაესხა პოლიცია. მუშები არ იშლებიან. შუცმანები შეიჭრენ ხალხში რეზინის ჯოხებით.

მემაღაროები შეჯგუფდენ. ორატორი განაგრძობდა თავის სიტყვას.

მე სიამაყეს ვგრძნობდი: ორატორი ჩვენი პიონერი ერიში იყო. ერიში ჩვენი მოთხოვნების შესახებ ლაპარაკობდა. შუცმანები[1] მედგრად მი; წევდენ მისკენ.

უცებ მოსახვევიდან გამოვიდა მთელი რაზმი წითელი დროშით.

პოლიცია გაიქცა დემონსტრაციისკენ. ქალაქში სამხედრო წესებია გამოცხადებული. დემონსტრაციები აკრძალულია.

მიტინგისაკენ რაზმი მოემართებოდა.

ქუჩის მეორე მხრიდანაც გამოჩნდენ პიონერები წითელი დროშით. პოლიცია დაიბნა.

ეს მეორე რაზმი იყო.

მე რაზმისაკენ გავიქეცი.

მიტინგი გათავდა.

ბერლინიდან წერილი მოგვივიდა.

აი წერილიც:

[1]) შუცმანი—პოლიციელი.

ამხანაგებო!

მოგესალმებით საბრძოლო (წითელი ფრონტით).

თქვენ ახალი ბრძოლა დაიწყეთ. ჩვენ მხარს დაგიჭერთ. ბერლინის პიონერების ყველა რაზმმა გაიგო თქვენი ბრძოლის ამბავი. გიგზავნით ფულს: ქუჩებში შევაგროვეთ 500 მარკა. ვაგროვებთ მჩვრებს. ურიკით დავდიოდით ეზო-ეზო, ვაგროვებდით სანოვაგე ვისაც სანოვაგე არ ჰქონდა, ისინი მჩვრებს გვაძლევდენ. შევაგროვეთ რამდენიმე ცენტნერი მჩვარი. მჩვრებში 15 მარკა მოგვცეს.

განა მარტო პიონერები გეხმარებიან თქვენ: 113 შეუკავშირებელმა ბავშმა შეაგროვა და მოიტანა თქვენთვის 35 მარკა. ყველაზე მეტი ფული შეკრიბა ზემო რაიონმა ქარხანა აუტის წინ. ბრუნერშტრასზე გაიმართა მიტინგი და კარნავალი ჩაიარა. სალაპარაკოდ გამოვიდენ მე II საერთაშორისო ყრილობის მონაწილენი.

ძვირფასო ამხანაგებო, გიგზავნით ერთ ვაგონ სანოვაგეს. მოსალოდნელია ბერლინის, საქსონიის და ქვედა რეინის წარმოებაშიაც დაიწყოს გაფიცვები განსაკუთრებით იბრძვიან თქვენ წინაამდეგ ლითონის დამმუშავებელი წარმოებების მეპატრონე კაპიტალისტები. ამ დღეებში ჩვენც გამოვალთ საბრძოლველად.

ბერლინელები.

ეს წერილი წავიკითხე ჩვენს რაზმში. მივრბივარ, წავუღებ ამ წერილს სამხრეთ რაიონის პიონერებს.







# დილა ფიზკულტუ-რის მოედანზე

აბა, კოტე, ქეთო, ზურა,
მოდით ყველა მოედანზე,
ვითამაშოთ ფიზკულტურა:
დავდგეთ მწკრივად, დავდგეთ განზე.
— ვინ იცინის იქით, ჰეი!
— სდექ! შეჩერდი! ნუ გვიანობ!
— ხელი ზევით!
— ხელი ქვევით!
— სწორდი სწრაფად, ბიჭო ვანო!
ერთი! ორი! დაითვალეთ!
ჰა, ნუ დგახარ მობუზულად!
— ერთი! ორი! აბა მალე!
ცოცხლად! ფხიზლად! მხიარულად!
გასწი კუნთი! ჯანმრთელობას
მოვიპოვებთ სწორედ ამით!
სწორდი მარცხნივ! ვანო! კობა!
აბა: ერთი! ორი! სამი!
სცქვიტე ყური, ბიჭო ნიკო!
ხელი ასე! აბა, სმენა!

ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ
პიონერთა შესაცვლელად!
ჩვენ ხომ ოქტომბრელები ვართ —
ხალხი მტკიცე და ძლიერი!
ერთად ვდგავართ, ერთად ვიართ!
აბა: ერთი! ორი! სამი!

ჰა, გაწითლდა, ბიჭო, ყური!
სახეს ფერი აკრავს ვარდისა,
ვაშა, ვაშა ფიზკულტურის
დილის თამაშს, დილის ვარჯიშს!!

ნოე დაფნარელი



# საჰარის ეულნი.

საჰარა უდაბნოა, უწყლო და ქვიშიანი სივრცე, სიგანით 1500 და სიგრძით 5.200 კილომეტრი. იგი აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილშია.

საჰარაში ფხვიერი და ღრმა ქვიშაა, ალაგ-ალაგ ქვებია და კლდეები. დღისით მზე ძალიან აცხუნებს, ქვიშა და ქვები საშინლად ხურდება, სიცხე 40 გრადუსსაც აჭარბებს.

ამ უდაბნოში საშინელი ქარბუქი იცის, რომელსაც სამუმი ეწოდება; სამუმი შემდეგნაირად იწყება: ჰორიზონტზე ცა წითლდება, შორიდან ისმის ხმაური, და ჩნდება ღრუბელი, რომელიც თანდათან ახლოვდება და იზრდება. მშრალი და ცხელი ქარი უფრო და

ეროვნული
ბიბლიოთეკა





უფრო ძლიერდება, ზევით ადის ქვიშისა და მტვრის ღრუბლები და მაღლა ჰაერში იფანტება.

ადამიანებს და ცხოველებს ქვიშით ევსებათ თვალები, ყურები, ცხვირი, ქვიშა შედის კანში და იწვევს სისხლის დენას. აქლემები წვებიან დედამიწაზე, მგზავრები ეფარებიან აქლემებს, იხვევენ თავპირს და ამ სახით ელოდებიან სამუმის გათავებას. ხშირად სამუმი მრავალ ხალხსა და ცხოველს ღუპავს.

ალაგ-ალაგ სახარაში გვხვდება ოაზისები. ოაზისებში ქოჩი ხალხი და მგზავრები იმარაგებენ წყალს, ასმევენ და აჭმევენ აქლემებს. დიდ ოაზისებში ხარობს ფინიკის პალმები და პური, აშენებენ სახლებს. შუაგულ უდაბნოში მხოლოდ ქოჩი ხალხი—ტუარეგები—ცხოვრობს.

სახარის საზღვრებზე გაშენებულია სოფლები და ქალაქები. ყველაზე დიდ ქალაქად ითვლება ტიმბუქტუ.

ქალაქების ბაზრებში ქოჩი ხალხი ყიდის ხილს და საქონელს, ყიდულობს ქსოვილებს, ჭურჭლეულს, იარაღს და სხვადასხვა სამკაულს. სახარა დაპყრობილი აქვთ ფრანგებს და, რომ უფრო მეტად გაყიდონ თავისი საქონელი, შიგ სხვა ქვეყნის ვაჭრებს არ უშვებენ. დამარცხებული ტუარეგები იძულებული არიან დაემორჩილონ ფრანგების ჯარის უფროსს და დაიცვან ფრანგი კაპიტალისტები.

ტუარეგები ვერ შერიგებიან თავის მონობას. ურჩნი ხშირად უჯანყდებიან დამპყრობლებს და თავს ესხმიან მათ ციხე-სიმაგრეებს, მაგრამ საფრანგეთს აქვს ტყვიამფრქვევები, თვითმფრინავები, ზარ-



ბაზნები, და შუბებით შეიარაღებული გმირთა ჯგუფი მათ ვერაფერს აკლებს, ის უძლურია.

ტუარეგი მიჰქრის ხოლმე წამოსასხამში გახვეული და სახის ქვედა ნაწილი დაფარული აქვს ქარში მონავარდე ქვიშისაგან. მამაკაცები ვაჭრობას და მესაქონლეობას ეწევიან. საოჯახო საქმეებს ქალები ასრულებენ. მათი მთავარი საზრუნავი წყალია. წყალი მოაქვთ თიხის მაღალი კოკებით, რომ არ დაიღვაროს და არ ამოუშრეს. აქლემს შეუძლია რამდენიმე დღე გასძლოს უწყლოდ და უსაჭმელოდ. აქლემებით მოგზაურობენ, გადააქვთ და გადმოაქვთ საქონელი, გადადიან ოაზისიდან ოაზისამდე; სწრაფად მავალ აქლემს დღეღამეში 150 კილომეტრის გავლა შეუძლია.

ფრანგები უდაბნოსათვის აგებენ ავტომობილებს, რომლებსაც თვლები ისე აქვთ გაკეთებული, რომ ქვიშაზე მოძრაობა შეიძლებოდეს. 1923 წელს საფრანგეთის ექსპედიციამ პირველად გადალახა ამ ავტომობილით მთელი სახარა.

ძველი ეგვიპტის მეფეები—ფარაონები—აშენებდენ სახარაში ქვის სამარხებს—პირამიდებს. ყველაზე მაღალი პირამიდა 20 წლის განმავლობაში შენდებოდა, რომელზედაც ყოველდღე მუშაობდა ასი ათასი მონა. ამჟამად ფრანგებს ალჟირიდან ტიმბუქტუმდე სახარაზე რკინის გზა გაჰყავთ, რადგან ის მათ სჭირდებათ ომის დროს ფრონტზე ჯარის გადასაყვანად. უდაბნოში სახლების აგება ძნელია, რადგან ძლიერი ქარი აყენებს ქვიშის ბუქს, რომელიც მთლად ჩამარხავს ხოლმე შენობებს. მრავალი ქალაქი დამარხა ქვიშამ. არის შემთხვევა, როდესაც ქარი ფანტავს ქვიშას, და ხელახლა გამოჩნდება ქალაქის კედლები.

**პიონერი ნათელა ანთაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# რამდენი ხელი ტრიალებს!

როგორ მაღლდება კედელი,
რამდენი ხელი ტრიალებს!
სველდება ოფლის წვეთებით
მარჯვენა ნახშირ-მტვრიანი...

კედელთან დგამენ ხარაჩოს,
სიმღერით მოაქვთ აგური,
ზოგი შენობას დარაჯობს,
ზოგი კი ლოდებს აგორებს.

აგურზე დასდეთ აგური,
გულზე ხალისი გვედება,
რომ გაახაროს ეს გული
სოციალიზმის კედელმა!

განა მარტო აქ? სუყველგან!
შეხედეთ, განა არ გჯერათ?!

ბრუნავს, ტრიალებს ხალისით
დამკვრელი მუშის მარჯვენა.

როცა მახილით, ჟიჟინით
ჩაირბენთ ოქტომბრელები,
ხედავთ, შეჯიბრში გაშლილი
როგორ ბრუნავენ ხელები...

უყურეთ — როგორ იღვრება
მკერდიდან ოფლის წვეთები,
ისმენს დამკვრელის სიმღერას
სოციალიზმის კედელი!

პატარავ, შენი ხალისიც,
ნეტავი, ერთი, მაჩვენა!
კვირტი ხარ სოციალიზმის
და მომავალის მარჯვენა!!

გ. შატბერაშვილი

# მღვდლის ჩივილი







ტირის მღვდელი, ჩივის, კვნესის,
მლოცველთ ხმები რომ არ ესმის.
ამბობს: „არ სწამთ ლოცვა ბავშვებს,
მათ ტრაქტორი უფრო ალხენს.
მოხუცი და ორი ჩარჩი...
ხედავთ? მთლად უმრევლოდ დავრჩი!
აყაბოლე საკმეველი, —
ცხვირს წაიკლო ყველამ ხელი.
გათავსედდა ჩემი „ფარა!"
ღმერთო! მათ ნუ დაიფარავ!
ხატის ნაცვლად ხანძარის დროს
წყლით სურთ დაწვა აირიდონ.



უკურთხებლად სთესვენ, მკიან,
ღმერთს აღარ ევედრებიან.
დადგა შობა, ველი საკურთხს,
ამისთვის კი მრევლი არ სწუხს.
შეწყდა ჩემთვის რჩენის წყარო,
აბა რაღამ გამახაროს?!"

ელ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# როგორ დავაბეჭდოთ სურათები

თქვენ ახლა პლაკატებს და ლოზუნგებს ხატავთ და, თუ გჭირდებათ რამდენიმე ადგილას დაკიდება, რამდენჯერმე უნდა გადახატოთ და გადაწეროთ.

ნამდვილად კი შეიძლება მხოლოდ ერთხელ დახატოთ და შემდეგ რამდენჯერაც გინდათ გადაბეჭდოთ.

ამისათვის საჭიროა გააკეთოთ კლიშე. აიღეთ პატარა გლუ ფიცარი, რომელზედაც სურათს ან ასოს დახატავთ და იმ ადგილებს, რომელიც სურათით არ არის დაფარული, ამოსჭრით და დაადაბლებთ, ნახატი დარჩება მაღლა ამოწეული, და თუ ამ ამოწეულ ნახატებს და ასოებს წაუსვამთ საღებავს, ეს იქნება კლიშე. კლიშის საშუალებით შეიძლება ადვილად ბეჭდოთ, რაც გინდათ.

კარტოფილისაგანაც შეიძლება ისეთი კლიშის გაკეთება, რომელიც გამოდგება საკლუბო მუშაობაში.

კარტოფილის კლიშის გასაკეთებლად საჭიროა შემდეგი მასალა და იარაღი: კარტოფილი, აკვარელის საღებავი, ჯიბის დანა და ქინძისთავი. კარტოფილი უნდა დასჭრათ ერთი სანტიმეტრის სისქის ფირფიტებად (ნახ. 1.) ამ ფირფიტებზე ქიმიური ფანქრით უნდა დახატოთ ასო (ნახ. 2), მერე უნდა შემოსჭრათ შემოხაზულ ადგილებზე, ზედმეტი ადგილები მოაშოროთ, და კლიშე მზად იქნება (ნახ. 3). აგრეთვე უნდა გამოსჭრათ ვარსკვლავი და სხვა ფიგურებიც (ნახ. შემდეგ გვერდზე). კარტოფილის სისველემ რომ ხელი არ შეგიშალოსთ, რამდენიმეჯერ უნდა დაადოთ გაზეთზე და შეშრება. მერე წაუსვით ფუნჯით ზედ აკვარელის საღებავი. როდესაც კლიშე დაიფარება საღებავით, უნდა დაადვათ ქაღალდზე და დააწვეთ. ანაბეჭდი უკვე მზად იქნება. შეიძლება რამდენიმეჯერ დაბეჭდოთ, შემდეგ ისევ წაუსვათ და კიდევ გაიმეოროთ იმდენჯერ,



1



2



3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რამდენჯერაც საჭიროა. ასე კეთდება ერთი ფერით. თუ ორი ან სამი ფერი არის საჭირო, ჯერ კლიშეს ფერადი საღებავი უნდა წაუსვათ, მერე სათანადო ადგილებზე წაუსვათ შავი ფერი. აბა შეხედეთ, როგორი ჭრელი ქათმებია! ერთი კლიშით შეიძლება რამდენიმე ქათამი დახატოთ. სახეებიც ასე იბეჭდება, მხოლოდ ცხვირის, ნესტოებისა, პირის და თვალების ადგილი უნდა გაუხვრიტოთ ქინძისთავით, საღებავი შიგ არ ჩავა, და მეს მე ფერიც მიემატება. შეიძლება კლიშე ახლო-ახლოს დაბეჭდოთ, ისე რომ ერთმა სურათმა მეორე ნაწილობრივ დაფაროს, მაგალითად, როგორც სახლები და ცხენებია.

თუ წვრილი ზოლები ან ბალახი გინდათ გამოიყვანოთ, მაშინ კარტოფილის ნაჭერი საღებავში უნდა ამოავლოთ და წაუსვათ ნახატის ადგილებს, სადაც საჭიროა.

კარტოფილი! კლიშე რომ არ გახმეს, სველ ნაჭერში უნდა გახვიოთ და ისე შეინახოთ.

# ჩვენი კოლექტივი

მიყვარს ჩვენი კოლექტივი და ოქტომბრელიც ვარ. მია ლენინის სურათიც გვიკიდია კედელზე. კოლექტივში ვგროვდებით კვირაში ორჯელ. ჯერ ხელმძღვანელი მოგვცემს პიონერულ სალამს, მერე გადმოგვცემს მია ლენინის დატოვებულ რჩევა-დარიგებას. მერე ვვარჯიშობთ, ვსწავლობთ ლექსებს, მოთხრობებს, ვმღერთ, ვხატავთ. აი ასე ვმაცადინობთ კოლექტივში.

მე-5 შრ. სკოლის მე-2 ჯგ. მოწაფე ქეთო საანიშვილი.

## გამოცანა

თეთრ ბროლებად იფრქვევიან,
დღე არის თუ ღამე, მარად;
მზის სხივები შიგ ერთვიან
ათასფერად, ათასგვარად.

არასდროს არ იღვრევიან
უბრალოდ და წარამარად,
კლდეზე სხლტომით არ ტყდებიან
კაცის გულის დასანანად.

პიტალო კლდის კალთებიდან
რა აშურებს, რა აჩქარებს,
რომ ასე ფეხშეუდგომლად
სულ მორბის და სულ ჩახჩახებს.

ზ. მ.

## გამოცანა

ოთხი წყარო ოთხ მილიდან
მოსჩქეფს და თან მოიმღერის,
ერთხელაც არ ცვალებადობს,
მუდამ არის ერთი ფერის.

წყაროს დედა ოთხ ფეხზე დგა
ხან წაბლაა, ხან სხვა ფერი;
ხორციელს არ ეტანება,
ფეხად უყვარს თივა, ქერი.

ზ. მ.



აჰა, ჩემო პატარებო, გასართობი მოსალხენი: ეს მხედრები ისე შესვით, რომ
დის ორივე ცხენი!

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არის სკაუტი

ამ თამაშობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია 2—12 კაცს. საჭიროა მოამზადოთ სქელი ქაღალდისაგან (ან მუყაოსაგან) 15 ცალი სათამაშო კარტაკი, შემდეგი ზომის: სიგანით 6 და სიგრძით რვა სანტიმეტრი. ამ თხუთმეტში 7 წყვილი იქნება, ერთი კი კენტად დარჩება.

ყველა კარტაკზე უნდა დახატოთ რაიმე სურათი, მაგ. პიონერები ბანაკში, პიონერები წარმოებაში, პიონერები ეხმარებიან გლეხებს და სხვა. ჩვენ დაგვრჩა კიდევ ერთი (კენტი) კარტაკი, რომელზეც უნდა დავხატოთ კაპიტალისტების წარმომადგენელი. შეხედეთ ზედა კარტაკზე დახატულ სურათს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მაღლის თავს სკაუტის ქუდით. ეს დაცინვით კი არ არის დახატული, არამედ სკაუტის რგოლებს ჰქვია ცხოველების სახელი, როგორც, მაგ. ,,ვეფხვი", ,,ბაყაყი", ,,ძაღლი" ,,მაიმუნი" და სხვა. სკაუტების მსოფლიო შეკრებაზე 1929 წელს უელსის პრინცს მისალმებაზე სკაუტებმა ყეფით უპასუხეს: ,,ამ, ამ, ამ!".

ვიწყებთ თამაშს: თქვენ ხელში გაქვთ 15 ერთი ზომის კარტაკი. მოთამაშეები უნდა დასხდეთ ისე, რომ წრე გააკეთოთ. ერთი თქვენგანი დაიწყებს კარტაკების დარიგებას (კარტაკები გადმობრუნებული უნდა იყოს, რომ სურათები არ ჩანდეს).

დამწყები კარტაკს იღებს თავის მარჯვნივ მჯდომ მეზობლისაგან და ადარებს თავისას. თუ მისი კარტაკი წყვილია, მაშინ ის გადის თამაშიდან, თუ არა რჩება თამაშის გასაგრძელებლად და ასე თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ყველა არ იპოვნის თავის კარტაკის წყვილს. ყველა გამოდის თამაშობიდან, რჩება მხოლოდ ერთი, რომელსაც ხელში შერჩება კარტაკი სკაუტის თავით. ეს ბავში მოვალეა შეასრულოს ამხანაგების დავალება, მაგ. იმღეროს, იცეკვოს, უამბოს ამხანაგებს რამე, მათ მიერ დასმულ კითხვებზე უპასუხოს და სხვა.




# სჯაევი



# ოქტომბრელებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა





## გამოიწერეთ და გაავრცელეთ.

**1932 წლისათვის** თქვენი ჟურნალი

## ოქტომბრელი.

ჟურნალი ხელმომწერთათვის იბეჭდება.

არ დარჩეთ უჟურნალოდ!

**ოქტომბრელი**
წლიურად მხოლოდ 3 მან. ღირს.

ფ. 30 კ.